სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტების (პირველი კატეგორია) პოზიციებზე კანდიდატების შესარჩევად კონკურსის ჩატარების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

წესის მიზანია სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტების (პირველი კატეგორია) შერჩევა.

მუხლი 2. საკონკურსო კომისიის ფუნქციები

საკონკურსო კომისიის ფუნქციებში შედის:

ა) საკონკურსო წესით სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტების (პირველი კატეგორია) პოზიციებზე კანდიდატების შერჩევა.

ბ) კომისია უფლებამოსილია სამუშაო პროცესის მიმდინარეობისას, საჭიროების შემთხვევაში, კომპეტენტური აზრის დასაფიქსირებლად მოიწვიოს შესაბამისი დარგის ექსპერტი/ექსპერტები.

გ) კომისიის მიერ წერითი დავალების შეფასების განსაზღვრა.

დ) კომისიის მიერ კანდიდატის პიროვნული თვისებებისა და უნარების შეფასება ზეპირი გასაუბრებით.

მუხლი 3. კონკურსანტის შეფასების წესი

1. კომისია დაუსწრებლად განიხილავს კონკურსანტის მონაცემთა შესაბამისობას საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტების (პირველი კატეგორია) პოზიციის მოთხოვნებთან. აპლიკანტები, რომლებიც გადალახავენ პირველ და მეორე ეტაპს, წინასწარი შეტყობინების საფუძველზე, გაივლიან ზეპირ გასაუბრებას შესარჩევ კომისიასთან.
2. კომისიის მიერ შეფასდეს კანდიდატის წერითი დავალება 0-დან 50-მდე ქულით.
3. კომისიის მიერ შეფასდეს კანდიდატის პიროვნული თვისებები და უნარები ზეპირი გასაუბრებით 0-დან 50-მდე ქულით.
4. აპლიკანტის მიერ წერით ეტაპზე და გასაუბრებაზე გამოუცხადებლობა ან უარის თქმა წარმოადგენს აპლიკანტის კონკურსიდან მოხსნის საფუძველს.
5. საკონკურსო პროცედურების დასრულების შემდგომ, საკონკურსო კომისია კონკურსის შედეგებს ურთიერთშეაჯერებს, აფასებს და იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ. გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს წარმოდგენილ საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასებას, რაც აისახება საკონკურსო კომისიის ოქმში.
6. შესარჩევი ეტაპების გავლის შემდგომ, საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტების (პირველი კატეგორია) პოზიციაზე შერჩეულად ითვლება ის აპლიკანტები, რომელებიც მიიღებენ სხვა კანდიდატებზე მეტ ქულას.
7. თანაბარი ქულების შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის/სხდომის თავმჯდომარის ხმა.

8. კომისია მიღებულ გადაწყვეტილებას აფორმებს ოქმის სახით, რომლის საფუძველზე შერჩეულ კანდიდატებთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება.

მუხლი 4. დავების გადაწყვეტა

კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავები წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კანდიდატის მიერ ზეპირი გასაუბრების შეფასების ფურცელი

საკონკურსო კომისიის წევრი: _____

ხელმოწერა:_____

კანდიდატის სახელი, გვარი	პირადი ნომერი	პოზიცია	ზოგადი უნარ-ჩვევების (დაგეგმვა, ორგანიზება, გუნდურობა, სტრესულ გარემოში მუშაობა, ოპერატიულობა, პუნქტუალობა და დროის ეფექტიანი მართვა - შეფასება (0-დან 15 ქულამდე)	ანალიტიკური აზროვნებისა და დასაბუთების უნარი, სისხარტე, კომპლექსური და ლოგიკური აზროვნების უნარი (0-დან 10 ქულამდე)	მოტივაცია, კომუნიკაბელურობა, კრეატიულობა და შემოქმედებითი უნარი (0-დან 10 ქულამდე)	ცვლილებების ადეკვატურად აღქმის და სიახლეების სწრაფად ათვისების უნარი; ერთდროულად სხვადასხვა ამოცანებზე დამოუკიდებლად და ეფექტურად მუშაობის უნარი (0-დან 10 ქულამდე)	წინა პროფესიული გამოცდილების რელევანტურობა ვაკანსიასთან (0-5 ქულა)	შენიშვნა

კანდიდატის მიერ წერითი დავალების შეფასების ფურცელი

საკონკურსო კომისიის წევრი: _____

ხელმოწერა:_____

კანდიდატის სახელი, გვარი	**პირადი ნომერი**	**პოზიცია**	დავალების პირობის გაგება და გააზრება **(0-დან 15 ქულამდე)**	დავალების ორგანიზება და აგება **(0-დან 10 ქულამდე)**	ფაქტობრივი შეცდომა **(0-დან 10 ქულამდე)**	ლექსიკა და სტილი **(0-დან 10 ქულამდე)**	მორფოლოგია, ორთოგრაფია და სინტაქსი **(0-5 ქულა)**	**შენიშვნა**